საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო

ქუთაისის საკრებულოს 2020 წლის საქმიანობის შეფასება

სარჩევი

თავი 1. ძირითადი მიგნებები	4
თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის საკრებულოს შესახებ	5
თავი 3. მნიშვნელოვანი მოვლენები	7
თავი 4. საკრებულოს კომისიების და ფრაქციების საქმიანობა	9
თავი 5. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლი	11
თავი 6. არასრულად შევსებული დეკლარაციები და შეუთავსებელი საქმიანობა	13
თავი 7. საკრებულოს წევრთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში	15
თავი 8. მოქალაქეთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში	16
თავი 9. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა	17
თავი 10. ქალაქ ქუთაისის საკრებულოს ხარჯები	18
რეკომენდაციები	21

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ” შეაფასა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს (შემდეგში - ქუთაისის საკრებულო) 2020 წლის საქმიანობა.

ანგარიში ეფუძნება საკრებულოდან გამოთხოვილ ინფორმაციასა და ჩვენი ორგანიზაციის დაკვირვებებს. საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2020 წელს.

“საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ” ქუთაისის საკრებულოს საქმიანობა შარშანაც შეაფასა. შარშან საანგარიშო პერიოდი მოიცავდა 2017 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ჩათვლით დროის მონაკვეთს.

თავი 1. ძირითადი მიგნებები

- ქუთაისის საკრებულოს მუნიციპალიტეტის ორგანოების შემოწმების მიზნით დამოუკიდებელი აუდიტი არ მოუწვევია;
- ქუთაისის საკრებულოსთვის საანგარიშო პერიოდში ქუთაისის მერს ანგარიში არ წარუდგენია;
- ქუთაისის საკრებულომ გამართა 19 სხდომა, აქედან 9 რიგგარეშე იყო;
- ქუთაისის საკრებულომ 35 დადგენილება მიიღო, რომელთაგან 34 დადგენილების ავტორი/ინიციატორი ქუთაისის მერია იყო, 1-ის - საკრებულოს თავმჯდომარე და იურიდიულ საკითხთა კომისია;
- ქუთაისის საკრებულოში მოქმედი ხუთი ფრაქციიდან ინიციატივით საკრებულოს სამმა ფრაქციამ მიმართა. ფრაქციებს საანგარიშო პერიოდში 10 ინიციატივა ჰქონდათ;
- ქუთაისის საკრებულოში მოქმედმა გენდერული თანასწორობის საბჭომ განიხილა 2020 წლის ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი და შეიმუშავა რეკომენდაციები, ასევე შეიმუშავა საკანონმდებლო წინადადებები. აღსანიშნავია, რომ წინა მოწვევის საკრებულოში საერთოდ არ იყო შექმნილი გენდერული თანასწორობის საბჭო, ამიტომ საბჭოს ჩამოყალიბება პოზიტიურ სიახლეს წარმოადგენს;
- ქუთაისის საკრებულოს 16 თანამდებობის პირიდან ქონებრივი დეკლარაცია 4 თანამდებობის პირმა ხარვეზებით შეავსო;
- საკრებულოს წევრებმა ჯამურად საკრებულოს სხდომები 168-ჯერ გააცდინეს. საკრებულოს წევრთა შორის ყველაზე მეტი სხდომა ვლადიმერ კლდიაშვილმა (18 სხდომა, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა") და დავით გოგისვანიძემ (18 სხდომა, "ევროპული საქართველო") გააცდინეს. გაცდენების რაოდენობით ლიდერებს შორის არიან ასევე გრიგოლ შუშანია და ბესიკ ბრეგაძე (17 სხდომა, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა").
- ქუთაისის საკრებულოში სახელფასო ანაზღაურების სახით გაიცა **857,713** ლარი. სახელფასო დანამატის, პრემიისა და დახმარების სახით საკრებულოს აპარატის თანამშრომლებმა და შტატგარეშე მოსამსახურეებმა ჯამში **55,550** ლარი მიიღეს;
- ქუთაისის საკრებულომ **98,129** ლარის საწვავი გახარჯა.
- ქუთაისის საკრებულოს წევრებმა და აპარატის თანამშრომლებმა ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინებებზე ჯამში **4,418** ლარი გახარჯეს.

თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის საკრებულოს შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც ახორციელებს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილ უფლებამოსილებებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში, აგრეთვე კანონით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს აღმასრულებელი ორგანოს - მერიის და მერიის თანამდებობის პირების საქმიანობას, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და საკრებულოს რეგლამენტით მისთვის განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

ქუთაისის საკრებულოში **25** წევრია, რომელთაგან **10** წევრი აირჩევა ადგილობრივ ერთმანდატიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში, ხოლო **15** წევრი – პროპორციული წესით.

მანდატების განაწილება		
მაჟორიტარული წესით არჩეული - 10 წევრი (ყველანი “ქართული ოცნებიდან”) პროპორციული წესით არჩეული - 15 წევრი		
ქართული ოცნება	ერთიანი ნაციონალური - მოძრაობა	ევროპული საქართველო
19	4	2

საკრებულოს წევრთა შორის მხოლოდ 4 ქალია, რაც საერთო რაოდენობის 16%-ია. საკრებულოს თანამდებობის პირებს შორის 2 ქალია: ფრაქცია “ქართული ოცნების” თავმჯდომარეა მარეხი ნიჟარაძე, ხოლო ამავე ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეა ელეონორა არჩაია.

საკრებულოში მუშაობს 5 ფრაქცია:

ფრაქცია	**წევრთა რაოდენობა**
“ქართული ოცნება”	8
“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”	4
“ქართული ოცნება - კონსერვატორები”	3
“ქართული ოცნება - მრეწველები”	3
“ქართული ოცნება - მწვანეები”	3

ფრაქცია "ქართული ოცნება-კონსერვატორების" გარდა, ყველა ფრაქციის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე.

საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელისშეწყობის, მერიისსტრუქტურულიერთეულებისადასაკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, საკრებულო თავისი შეხედულებებისამებრ ქმნის კომისიას. **ქუთაისის საკრებულოში საკრებულოს უფლებამოსილების ვადით შექმნილია შემდეგი კომისიები:**

1. იურიდიულ საკითხთა კომისია (თავმჯდომარე - ვლასი გარდაფხაძე)
2. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია (თავმჯდომარე - კახაბერ ბოჭორიშვილი)
3. ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობის კომისია (თავმჯდომარე - გიორგი ჭეიშვილი)
4. კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია (თავმჯდომარე - ოთარ ლორთქიფანიძე)
5. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია (თავმჯდომარე - მამუკა რიჟამაძე)

საკრებულოს 25 წევრიდან თანამდებობას 16 წევრი იკავებს.

ზოგადი სტატისტიკა:

საკრებულოს 19 სხდომა გაიმართა, აქედან 9 სხდომა რიგგარეშე იყო, მათ შორის 1 სხდომა მოიწვიეს საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით, 2 - საკრებულოს თავმჯდომარისა და მერის ერთობლივი ინიციტივით, ხოლო 6 - ქუთაისის მერის ინიციატივით.

კვორუმის არარსებობის გამო საკრებულოს არც ერთი სხდომა არ ჩაშლილა.

საკვლევ პერიოდში ბიუროს 20 სხდომა გაიმართა.

ქუთაისის საკრებულომ 35 დადგენილება მიიღო, რომელთაგან 34 დადგენილების ავტორი/ინიციატორი იყო ქუთაისის მერი, ხოლო 1 დადგენილების - საკრებულოს თავმჯდომარე და იურიდიულ საკითხთა კომისია.

ქუთაისის საკრებულოს მიერ ინიცირებული იქნა 23 საკითხი.

2020 წელს ქუთაისის საკრებულომ 4-ჯერ იმსჯელა ადგილობრივი გადასახადების და მოსაკრებლების გაუქმების ან/და ცვლილების შეტანის შესახებ. ოთხივე შემთხვევა ეხებოდა ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გამო სხვადასხვა ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მომსახურების გამწევი კომპანიების გადასახადისგან გათავისუფლების ან შეღავათის დაწესების საკითხს.

ქუთაისის საკრებულოს სამართლებრივ აქტებზე ზედამხედველობის ორგანოს 1 დასკვნა შეიცავდა ერთ მითითებას, რომელიც გაითვალისწინა თვითმმართველობის ორგანოებმა და ხარვეზი გაასწორა.

საანგარიშო პერიოდში ქუთაისის საკრებულოში პეტიცია არ დარეგისტრირებულა.

თავი 3. მნიშვნელოვანი მოვლენები

საკრებულოს თავმჯდომარის გადადგომა:

2019 წლის 10 დეკემბერს, ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე, ნიკოლოზ ლატარია პირადი განცხადებით გადადგა თანამდებობიდან. 2020 წლის განმავლობაში თავმჯდომარის მოვალეობას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ირაკლი შენგელია ასრულებდა. 2020 წლის 30 დეკემბერს საკრებულომ ირაკლი შენგელია აირჩია საკრებულოს თავმჯდომარედ.

ცვლილებები ქუთაისის საკრებულოს შემადგენლობაში:

2020 წელის 2 ივლისს ნიკოლოზ ლატარიამ პირადი განცხადებით მოიხსნა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება. იგი ჩაანაცვლა თეიმურაზ ნადირაძემ, რომლის უფლებამოსილება საკრებულომ 2020 წლის 29 ივლისს ცნო.

2020 წელის 15 ივლისიდან მერაბ მეშველიანს პირადი განცხადებით საფუძველზე შეუწყდა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება. ის ჩაანაცვლა კოტე რატიანმა, რომლის უფლებამოსილება საკრებულომ 2020 წლის 26 აგვისტოს ცნო.

საკრებულოს წევრის არაეთიკური ქმედება:

2019 წლის 29 ნოემბერს ქუთაისში გაერთიანებულო ოპოზიციის წევრები "ქართული ოცნების" ოფისის დასაბოქლომებლად მივიდნენ, რასაც "ქართული ოცნების" წევრები და მხარდამჭერები დაუპირისპირდნენ. მოგვიანებით "ქართული ოცნების" მხარდამჭერები დაესხნენ თავს "ნაციონალური მოძრაობის" ოფისს და შენობას ცოცხები და კვერცხები დაუშინეს, პარტიის წევრებს კი აგინებდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. 2019 წლის 30 ნოემბერს "ქართული ოცნების" მხარდამჭერებმა გაიმეორეს იგივე ქმედება და გაერთიანებული ოპოზიციისა და "ნაციონალური მოძრაობის" ოფისებს კვლავ დაესხნენ თავს. ამ მოვლენებს გაერთიანებულმა ოპოზიციამ 2019 წლის 6 დეკემბერს აქციით უპასუხა.

მედიაში გავრცელებული მასალის მიხედვით ჩანს რომ თავდასხმების დროს ადგილზე იმყოფებოდნენ ქუთაისის მერიის საჯარო მოხელეები და საკრებულოს წევრები. მიუხედავად იდენტიფიცირების შესაძლებლობისა ამ ფაქტთან დაკავშირებით ქუთაისის საკრებულოს არ უმსჯელია და ეთიკის ნორმების დარღვევა არ დაუდგენია.

ოპოზიციის ბოიკოტი:

2020 წელს საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატები ბოიკოტის რეჟიმში მუშაობდნენ. "ნაციონალური მოძრაობის" და " ევროპული საქართველოს" წევრებმა წარმომადგენლობითი ორგანოს მუშაობას ბოიკოტი 2019 წლის 20 ივნისის მოვლენების შემდეგ გამოუცხადეს. ოთხი თვის შემდეგ ისინი სხდომებს დაუბრუნდნენ, თუმცა, მალევე 2019 წლის ბოლოს ოპოზიცური პარტიების ოფისებზე თავდასხმის გამო კვლავ ბოიკოტის რეჟიმზე გადავიდნენ. საკრებულოს არც ერთ ოპოზიციონერ დეპუტატს ქალაქის 2020 წლის ბიუჯეტის განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია, ასევე 2020 წელს საკრებულოსა და კომისიათა სხდომებში არ მონაწილეობდნენ. აღნიშნულის გამო უმრავლესობის

დეპუტატები ოპოზიციონერ წევრებს ხელფასსა და სხვა ხარჯებზე უარის თქმისკენ მოუწოდებდნენ.

სახელმწიფოსთვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემა:

საანგარიშო პერიოდში ქუთაისის საკრებულომ მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ 2 განკარგულება მიიღო:

1. 2020 წლის 28 ივლისის N298 განკარგულებით, სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცა ქუთაისში, შერვაშიძის ქუჩა N 53 აღმოსავლეთით მდებარე უძრავი ქონება.

2. 2020 წლის 20 სექტემრის N316 განკარგულებით, სახელმწიფოს უსასყიდლოდ, გადაეცა ქუთაისში, ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევის N15 ა-ს ჩრდილოეთით მდებარე ქონება.

მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტები

ქუთაისის 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებები **სულ 7-ჯერ** შეიტანეს. ცვლილებების ინიციატორი იყო ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია.

საანგარიშო პერიოდში ქუთაისის საკრებულოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ან/და სხვა პროგრამა, სტრატეგია და გეგმები წარუდგინა 1-ჯერ, ეს გახლდათ 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი.

2020 წელს 1 სივრცით-ტერიტორიულ დოკუმენტზე იმუშავა საკრებულომ და 2020 წლის 30 დეკემბერს მიიღო N344 განკარგულება, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში, რიონჰესის მიმდებარედ, საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობისთვის განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმის დამტკიცების შესახებ.

თავი 4. საკრებულოს კომისიების და ფრაქციების საქმიანობა

საკრებულოს კომისიების საქმიანობა:

ქუთაისის საკრებულოში ხუთმა მუდმივმოქმედმა კომისიამ საანგარიშო პერიოდში სულ 72 სხდომა გამართა. კვორუმის არარსებობის გამო არცერთი კომისიის სხდომა არ ჩაშლილა.

საკრებულოს კომისიათა სხდომების რაოდენობა					
	იურიდიულ საკითხთა კომისია	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია	ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობის კომისია	კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია	ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია
2020 წელი	22	12	18	6	14

საკრებულოს ინფორმაციით, მხოლოდ იურიდიულ საკითხთა კომისიამ მოამზადა 12 სამართლებრივი აქტის პროექტი. სხვა კომისიებს არცერთი სამართლებრივი აქტი არ მოუმზადებიათ. საანგარიშო მონაკვეთში არცერთ კომისიას არ მოუწვევია სპეციალისტი/ ექსპერტი დროებით ან კომისიის უფლებამოსილების ვადით.

საკრებულოს ფრაქციების საქმიანობა:

ქუთაისის 2017 წლის მოწვევის საკრებულოში სულ ხუთი ფრაქცია მუშაობს. 5 ფრაქციიდან მხოლოდ სამმა ფრაქციამ - "ქართულმა ოცნებამ", "ქართული ოცნება - კონსერვატორებმა" და „ქართული ოცნება - მწვანეებმა" მოგვაწოდა ინფორმაცია. ფრაქციებმა - „ქართული ოცნება - მრეწველებმა" და „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" ჩვენს კითხვებს არ უპასუხეს.

ფრაქციებმა "ქართული ოცნებამ" და "ქართული ოცნება - მწვანეებმა" ქუთაისის 2021 ბიუჯეტის განხილვის დროს დააყენეს 4 ინიციატივა, ესენია:

1. სპორტული "ტრენაჟორების" რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია, მშენებლობის თანხის ზრდის შესახებ;

2. სპორტული "ატრაქციონების" მონტაჟი, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია, მშენებლობა, შეძენისთვის გათვალისწინებული თანხის შენარჩუნების შესახებ;

3. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების მოწყობისთვის გათვალისწინებული თანხის ზრდის შესახებ;

4. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებისთვის 2020 წელს გათვალისწინებული თანხის 2021 წელსაც შენარჩუნების შესახებ.

ფრაქცია “ქართული ოცნება - მრეწველების” თავმჯდომარემ ქუთაისის 2021 ბიუჯეტის განხილვის დროს დააყენა 6 ინიციატივა:

1. სულხან-საბას ქუჩაზე მადლიერების სახლის ფილიალის გახსნა;

2. სულხან-საბას ქუჩაზე მუნიციპალიტეტის შენობის მშენებლობის შესახებ;

3. ვაკისუბნის მუნიციპალური შენობის მოწესრიგების შესახებ;

4. სულხან-საბას ქუჩაზე სტადიონის მწვანე საფარის შეკეთების შესახებ;

5. ახალგაზრდობის გამზირზე სპორტ-სკოლა “მართვეს” სტადიონის რეაბილიტაციის შესახებ;

6. მოსწავლე ახალგაზრდობის პარკთან ტროტუარის მოწყობის შესახებ.

ფრაქცია	**ინცირებული საკითხების რაოდენობა**
“ქართული ოცნება”	**4**
“ქართული ოცნება-მწვანეები”	
“ქართული ოცნება-მრეწველები”	**6**
“ქართული ოცნება-კონსერვატორები”	**0**
“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”	**0**
სულ ინიცირებული საკითხები	**10**

თავი 5. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება.[1] მერი კი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე.[2]

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და ქუთაისის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად კონტროლის განხორციელების მექანიზმებია:

- მერისთვის უნდობლობის გამოცხადება;
- საკრებულოს წევრის მიერ კითხვის დასმა და ინტერპელაცია;
- სხდომაზე მიწვევა;
- ანგარიშების მოსმენა;
- დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარება;
- მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე კონტროლი;
- ბიუჯეტის შესრულების კონტროლი.

2020 წლის 30 დეკემბერს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩია ირაკლი შენგელია.

ქუთაისის საკრებულოსთვის საანგარიშო პერიოდში ქუთაისის მერს ანგარიში არ წარუდგენია.

2020 წლის განმავლობაში საკრებულოს წარედგინა მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალური იურიდიული პირების 7 ანგარიში, რომელთაგან არცერთი არ შეფასებულა უარყოფითად. ასევე, მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, საკრებულო, საკრებულოს ბიურო, საკრებულოს კომისიები და ფრაქციები სისტემატურად იწვევდნენ აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლებს ცალკეული საკითხების განხილვის მიზნით.

აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილ და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანილ ყველა საკითხს საკრებულომ მხარი დაუჭირა, თუმცა რამდენიმე საკითხი მისი უკეთ შესწავლის მიზნით ამოიღო დღის წესრიგიდან.

საკრებულოს წევრის მიერ ანგარიშვალდებულ ორგანოებისთვის, მერისთვის და სხვა თანამდებობის პირებისთვის, კითხვით მიმართვის შესახებ საკრებულოს ინფორმაცია არ მოუწოდებია.

---

1 მუხლი 24-ე, პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა”
2 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 48-ე მუხლის მეორე პუნქტი

საანგარიშო პერიოდში ქუთაისის საკრებულოს არ გამოუვლენია მერის საქმიანობაში გადაცდომები, ინტერესთა კონფლიქტი ან/და თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტები. ასევე, საკრებულოს ინფორმაციით საანგარიშო პერიოდში საკრებულოს რეგლამენტის ან/და ეთიკის კოდექსის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

ქუთაისის საკრებულოს მუნიციპალიტეტის ორგანოების შემოწმების მიზნით დამოუკიდებელი აუდიტი არ მოუწვევია.

2020 წელს საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფი არ შეუქმნია. ასევე ცალკეული საკითხების შესასწავლად, დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად სათათბირო ორგანო (საბჭო, კომიტეტი და სხვა) არ შექმნილა.

2020 წლის 27 მაისს ქალაქის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელმა საკრებულოს წარუდგინა 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

თავი 6. არასრულად შევსებული დეკლარაციები და შეუთავსებელი საქმიანობა

ქუთაისის საკრებულოში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს თანამდებობის პირთა მიერ ქონებრივი დეკლარაციის არასრულად, ხარვეზებით შევსების საკითხი. 16 თანამდებობის პირიდან (საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე, ფრაქციის თავმჯდომარე და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე) დეკლარაცია 4-მა არასრულად შეავსო.

კანონმდებლობის მოთხოვნა:

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის" თანახმად, პირი თანამდებობაზე დანიშვნიდან ორი თვის ვადაში ვალდებულია სრულყოფილად შეავსოს დეკლარაცია[3], ასახოს ინფორმაცია საკუთარი და ოჯახის წევრთა ქონებისა და ეკონომიკური ინტერესების შესახებ[4], სამეწარმეო ორგანიზაციებში არსებული საკუთარი წილები მართვის უფლებით გადასცეს სხვა პირს[5] და თანამდებობაზე დანიშვნიდან 10 დღის ვადაში დატოვოს სამეწარმეო ორგანიზაციის დირექტორის, ხელმძღვანელის პოზიცია[6].

ხარვეზები ქუთაისის საკრებულოს თანამდებობის პირთა დეკლარაციებში:

გიორგი ჭეიშვილი

კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ჭეიშვილმა 2021 წლის იანვარში შევსებულ დეკლარაციაში არ მიუთითა, რომ მისი მეუღლე, სოფიო მერკვილაძე მონაწილეობს სამეწარმეო საქმიანობაში, კერძოდ იგი, სამეწარმეო რეესტრის მონაცემების თანახმად, რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მეწარმედ,.

3 მუხლი მე-14, პუნქტი 1
4 მუხლი მე-15
5
6 მე-14 მუხლი, პუნქტი მე-10

იმედა საღინაძე

ფრაქცია "ქართული ოცნება - მწვანეების" თავმჯდომარე

(2021 წლიდან "ქართული ოცნება-უკეთესი მომავლისათვის" თავმჯდომარე)

იმედა საღინაძემ 2021 წლის თებერვალში შევსებულ დეკლარაციაში მიუთითა, რომ მისი შვილი ბექა საღინაძე 2020 წლის ივლისიდან ფლობს 0% წილს შპს "ელ თი ბი ჯგუფში", ხოლო სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ბექა საღინაძე შპს "ელ თი ბი ჯგუფში" ფლობს 100%-იან წილს.

ლაშა გვენეტაძე

ფრაქცია "ქართული ოცნება-მრეწველების" თავმჯდომარე

ლაშა გვენეტაძემ 2020 წლის აპრილში შევსებულ დეკლარაციაში მიუთითა, რომ იგი არის შპს "ვიპ კახიანაურის" 20% წილის მფლობელი. დეკლარაციაშივე მიუთითა, რომ მან წილი მართვის უფლებით გადასცა სხვა პირს, თუმცა ეს ინფორმაცია სამეწარმეო რეესტრში მითითებული არ არის.

კახაბერ ბოჭორიშვილი

ქუთაისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

კახაბერ ბოჭორიშვილს 2021 წლის იანვარში შევსებულ დეკლარაციაში მითითებული აქვს, რომ იგი არის შპს "არგომშენის" 10%; შპს "ნიუ ტრასპორტ 2015"-ს 67%; შპს "კონსოლი XXI საუკუნეს" 50% წილის მფლობელი, თუმცა კანონის მოთხოვნის მიუხედავად, აღნიშნული წილების მართვის უფლებით სხვა პირისათვის გადაცემის შესახებ ინფორმაცია სამეწარმეო რეესტრში მითითებული არ არის, დეკლარაციაში კი, აღნიშნულია წილის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ. ამასთან სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად იგი შპს "არგომშენში" ფლობს 50%-იან წილს. ასევ კახაბერ ბოჭორიშვილის მეუღლე, დიანა ჯოჯუა, სამეწარმეო რეესტრის მონაცემების თანახმად, რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მეწარმედ, რის შესახებაც დეკლარაციაში არ მიუთითა.

თავი 7. საკრებულოს წევრთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში

ქუთაისის საკრებულოს რეგლამენტით არ არის დაზუსტებული, საკრებულოს სხდომის გაცდენის რა შემთხვევა ითვლება არასაპატიოდ. საკრებულოს რეგლამენტი ეყრდნობა "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" ჩანაწერს, რომლის თანახმადაც, საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდება უფლებამოსილება, თუ იგი "არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში".

ქუთაისის საკრებულოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საკრებულოს წევრი ზეპირად ატყობინებს თავმჯდომარეს გამოუცხადებლობის მიზეზს, რაც ოქმში არ აისახება.

მონაწილეობა საკრებულოს სხდომებში:

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს წევრებმა ჯამურად საკრებულოს სხდომები გააცდინეს 168-ჯერ.

საკრებულოს წევრთა შორის ყველაზე მეტი სხდომა ვლადიმერ კლდიაშვილმა (18 სხდომა, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა") და დავით გოგისვანიძემ (18 სხდომა, "ევროპული საქართველო") გააცდინეს. გაცდენების რაოდენობით ლიდერებს შორის არიან ასევე გრიგოლ შუშანია და ბესიკ ბრეგაძე (17 სხდომა, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"). საკრებულოს სხდომების გაცდენის სტატისტიკა იხილეთ ცხრილში.

მონაწილეობა საკრებულოს კომისიების სხდომებში:

საკრებულოს წევრებმა 184-ჯერ გააცდინეს საკრებულოს კომისიების სხდომები.

საკრებულოს წევრთა შორის კომისიის ყველაზე მეტი (24-24) სხდომა ბესიკ ბრეგაძემ (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), ვლადიმერ კლდიაშვილმა (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) და დავით გოგისვანიძემ ("ევროპული საქართველო") გააცდინეს. საკრებულოს წევრი ნიკოლოზ ლატარია ჩანაცვლდა თეიმურაზ ნადირაძით, მერაბ მეშველიანი - კოტე რატიანით. საკრებულოს კონისიების სხდომების გაცდენის სტატისტიკა ჩანს ცხრილში.

საკრებულოს სხდომებზე სიტყვით და მოხსენებით გამოსვლის მაჩვენებელი

2020 წელს ქუთაისის საკრებულოში საკრებულოს სხდომაზე სიტყვით გამოსვლის უფლებით არ უსარგებლია საკრებულოს 5 წევრს, ხოლო მოხსენებით არ გამოსულა საკრებულოს 17 წევრი.

თავი 8. მოქალაქეთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში

ქუთაისის საკრებულოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საკრებულო უზრუნველყოფს მოქალაქეთა ჩართულობას მის საქმიანობაში:

- უზრუნველყოფილია მოქალაქეთა დასწრება და მონაწილეობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების სხდომებში;
- საკრებულოს სხდომის შესახებ მეილის საშუალებით ეცნობებათ მედიის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს. საკრებულოს სხდომის შემდეგ კი მათ ეგზავნებათ პრესრელიზი სხდომაზე განხილული საკითხებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ;
- პერიოდულად ეწყობა შეხვედრები მოსახლეობასთან, მათი საჭიროებებისა და მოთხოვნების უკეთ გაცნობისა და გადაწყვეტისათვის;
- მოქალაქეთა მიღება როგორც თვითმმართველობის ორგანოს შენობაში, ასევე, ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ტერიტორიულ ორგანოებში.
- განახლდა მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი და პეტიციის რეგისტრაცია ელექტრონულად არის შესაძლებელი.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების მოწვევის შესახებ ბრძანებას გამოსცემს ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, რომელიც ვრცელდება:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ-გვერდზე;
- ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე;
- ტელეკომპანია “რიონის” საშუალებით.

საკრებულოს სხდომების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდებოდა კანონით გათვალისწინებულ ვადებში.

თავი 9. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა

2020 წელს ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მთავარ მიმართულებას, გენდერული ბიუჯეტის ფორმირება და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება წარმოადგენდა.

ქუთაისის საკრებულოში მოქმედი გენდერული თანასწორობის საბჭომ განიხილა 2020 და 2021 წლების ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების პროექტები და ჯერ საბიუჯეტო ინიციატივები წარუდგინა საკრებულოს, შემდეგ რეკომენდაციათა პაკეტი - აღმასრულებელ ხელისუფლებას.

გენდერული თანასწორობის საბჭომ განახორციელა პროექტი "სტუდენტები გენდერული ბიუჯეტისთვის", რაც მიზანდ ისახავდა ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გაძლიერებას და ბიუჯეტირების პროცესში ახალგაზრდების ჩართვას. ამ პროექტის ფარგლებში გამოიკვლიეს ქუთაისში მცხოვრები მოქალაქეების საჭიროებები.

2019 წლის 29 მაისიდან 2020 წლის ივნისის ჩათვლით, საბჭომ 10 შეხვედრა გამართა. შეხვედრები შეეხო საბჭოს პროექტებსა და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფორმატებს.

ქუთაისის გენდერული თანასწორობის საბჭოში განცხადება ან სხვა რაიმე მიმართვა არ შესულა.

გენდერული თანასწორობის საბჭომ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში საკრებულოს 2020 წლის 24 ივნისს წარუდგინა.

თავი 10. ქალაქ ქუთაისის საკრებულოს ხარჯები

სახელფასო ანაზღაურება და პრემია:

2020 წელს ქუთაისის საკრებულოს წევრებზე, საკრებულოს აპარატისა და შტატგარეშე თანამშრომლებზე სახელფასო ანაზღაურების სახით **857,713** ლარი გაიცა.

	საკრებულოში დასაქმებულთ რაოდენობა	საკრებულოში დასაქმებულთა შრომითი ანაზღაურება
2020 წელი	65	857,713.96

დანამატისა და დახმარების სახით საკრებულოს თანამდებობის პირებმა, აპარატის თანამშრომლებმა და შტატგარეშე მოსამსახურეებმა ჯამში **55,550** ლარი მიიღეს. 2020 წელს საკრებულოში პრემია ან ჯილდო არ გაუციათ. აღსანიშნავია, რომ დახმარებას იღებენ თანამდებობის პირებიც.

ქუთაისის საკრებულო	პრემია/ჯილდო	დანამატი	დახმარება	სულ
2020 წელი	0	2,700	52,850	55,550

საკრებულოს თანამდებობის პირებზე გაცემული სახელფასო ანაზღაურების, პრემიის, დანამატისა და დახმარების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ გრაფიკში:

საკრებულოს თანამდებობის პირებზე გაცემული შრომის ანაზღაურება, პრემია, დანამატი, დახმარება 2020 წელს					
სახელი გვარი	**თანამდებობა**	**შრომის ანაზღაურება**	**პრემია**	**დანამატი**	**დახმარება**
ირაკლი შენგელია	თავმჯდომარის მოადგილე	42,000	0	0	0
რამაზ ჩხიკვაძე	თავმჯდომარის მოადგილე	42,000	0	0	0
კახაბერ ბოჭორიშვილი	კომისიის თავმჯდომარე	22,800	0	0	1,900
ვლასი გარდაფხაძე	კომისიის თავმჯდომარე	22,800	0	0	1,900

ოთარ ლორთქიფანიძე	კომისიის თავმჯდომარე	22,800	0	0	3,800
მამუკა რიჟამაძე	კომისიის თავმჯდომარე	22,800	0	0	1900
გიორგი ჭეიშვილი	კომისიის თავმჯდომარე	22,800	0	0	3,800

საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეების სახელფასო ანაზღაურებისა და პრემიის შესახებ ინფორმაცია იხილეთ გრაფიკში:

ფრაქციის თავმჯდომარებზე გაცემული შრომის ანაზღაურება, პრემია, დანამატი					
სახელი გვარი	**თანამდებობა**	**შრომის ანაზღაურება**	**პრემია**	**დანამატი**	**დახმარება**
მარეხ ნიჟარაძე	„ქართული ოცნება“ - თავმჯდომარე	22,800	0	0	3,800
გრიგოლ შუშანია	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”- თავმჯდომარე	22,800	0	0	0
ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი	„ქართული ოცნება - კონსერვატორები“ - თავმჯდომარე	22,800	0	0	1900
ლაშა გვენეტაძე	„ქართული ოცნება - მრეწველები“ - თავმჯდომარე	22,800	0	0	1900
იმედა საღინაძე	„ქართული ოცნება - მწვანეები“ - თავმჯდომარე	22,800	0	0	1900

სამივლინებო და წარმომადგელობითი ხარჯები:

ქუთაისის საკრებულოს წევრებმა და აპარატის თანამშრომლებმა ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინებებზე საანგარიშო პერიოდში, ჯამში **4,418** ლარი გახარჯეს.

2020 წელს საკრებულოში წარმომადგელობითმა ხარჯმა **3,537** ლარი შეადგინა.

ავტომობილები, საავტომობილო მომსახურები და საწვავის ხარჯები:

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბალანსზე სამი ავტომობილი ირიცხება, რომლითაც სარგებლობდნენ საკრებულოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები.

ავტომობილების შეკეთებაზე ჯამში **2,234** ლარი დაიხარჯა, ხოლო საწვავის ხარჯმა **98,129** ლარი შეადგინა.

	საკრებულოს საწვავის ხარჯი	საკრებულოს საავტომობილო მომსახურების ხარჯი
2020 წელი	98,129	2,234

რეკომენდაციები

კონტროლის განხორციელება:

- საკრებულოს წევრები უფრო აქტიურად უნდა ჩაერთონ საზედამხედველო საქმიანობაში, კერძოდ უფრო ინტენსიურად უნდა გააკონტროლონ სახელმწიფო შესყიდვების პროცესი, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობა;

- საკრებულომ აქტიურად და კეთილსინდისიერად უნდა იმუშაოს მუნიციპალიტეტში ინტერესთა კონფლიქტის, თანამდებობრივი შეუთავსებლობის, საკრებულოს რეგლამენტის და ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტების გამოვლენაზე;

ანგარიშვალდებულება:

- საკრებულოს, ისევე როგორც კომისიების სხდომებზე საკრებულოს წევრთა დასწრების მდგომარეობა მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს. საკრებულოს ყველა წევრი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს და ესწრებოდეს სხდომებს. ამასთან, საკრებულოს თითოეული წევრის მხრიდან სხდომის გაცდენის საპატიო თუ არასაპატიო მიზეზები უნდა იყოს დადგენილი, გამოკვლეული და სათანადო ღონისძიებებიც გამოყენებული;

- თანამდებობის პირთა მიერ დეკლარაციების შევსება გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს, ამასთან, დეკლარაციების არასრულად შევსება კორუფციის საფრთხესაც შეიცავს. ამიტომაც აუცილებელია, რომ თანამდებობის პირებმა დეკლარაცია სრულად შეავსონ;

ფრაქციების საქმიანობა:

- მნიშვნელოვანია, რომ ფრაქციის საქმიანობა სარგებლის მომტანი იყოს შესაბამისი თვითმმართველობისათვის, ფრაქცია აქტიურად უნდა ჩაერთოს საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების განხილვისა თუ გადაწყვეტის პროცესში, შეისწავლოს/გააკონტროლოს მერიისა თუ მუნიციპალური იურიდიული პირების საქმიანობა; წარსდგეს საკრებულოში ინიციატივებით, აქტიურად ჩაერთოს ბიუჯეტირების პროცესში და ა.შ. ფრაქციები მნიშვნელოვნად ზრდის თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობას, მხარს უჭერს ადგილობრივ ინიციატივებს, აგრეთვე მოქალაქეთა საჭიროებებისა და პრობლემების ადვოკატირებას. შესაბამისად, მოვუწოდებთ ფრაქციებს, აღნიშნული ინსტრუმენტები აქტიურად გამოიყენონ;

საკრებულოს ხარჯები:

- მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს მიერ გაწეული ხარჯები სრულ თანხვედრაში იყოს კანონმდებლობით მისთვის განკუთვნილი უფლებამოსილებების განხორციელებასთან;

- საკრებულომ მკაცრად უნდა აკონტროლოს როგორც უშუალოდ წარმომადგენლობითი ორგანოს, ასევე ზოგადად მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ხარჯები და ორიენტირებული იყოს ფინანსების ეფექტურ ხარჯვაზე;

პეტიცია:

- კანონმდებლობა თვითმმართველობებს აძლევს შესაძლებლობას პეტიციის საჭირო ხელმომწერთა რაოდენობა შეამცირონ მათთვის სასურველ ნებისმიერ ოდენობამდე. თვითმმართველობის კოდექსი აწესებს მხოლოდ ზედა ზღვარს - 1%, რაც ცალკეულ მუნიციპალიტეტებში მოქალაქეების დიდი ოდენობის გათვალისწინებით, შესაძლოა, რთულად შესასრულებელი მოთხოვნა იყოს; იმის გათვალისწინებით, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საკრებულოში არცერთი პეტიცია არ დარეგისტრირებულა, მიგვაჩნია, რომ ქუთაისის საკრებულომაც უნდა შეამციროს პეტიციაზე ხელმომწერთა რაოდენობის ქვედა ზღვარი და 1% ნაცვლად დააწესოს 0.3 ან 0.5%, რაც გაუადვილებს დაინტერესებულ პირებს პეტიციის მომზადების პროცედურას;

დასახლების საერთო კრება:

- ქუთაისში დასახლების საერთო კრება ჯერ არ ჩატარებულა. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს ინიციატივით ამოქმედდეს ჩართულობის ეს მექანიზმი, მიმართოს მერს მისი ჩატარების შუამდგომლობით. მუნიციპალიტეტისათვის აუცილებელია დასახლების საერთო კრების ჩატარება, ყოველი მომდევნო წლის ბიუჯეტის უკეთ დასაგეგმად.